პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 6 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

201 (899) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

# მსოფლიო მშრომელთა ახალგაზრდობა მუდამ მზად იქნება

## იბრძოლოს მსოფლიო კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ.

## პროლეტარული ახალგაზრდობის დღესასწაული.

წელს მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობა მეთერთმეტედ დღესასწაულობს თავის ინტერნაციონალურ დღეს—სექტემბრის თვის პირველ კვირას.

დღეის—დღეს მეთერთმეტედ გამოდის ქუჩებზე მსოფლიოს მშრომელი და დაჩაგრული ახალგაზრდობა, რომ სასტიკი პროტესტი განაცხადოს ჩაგვრის, დამონების, გაყვლეფის და სისხლიანი მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ ის მთავარი მომენტები, ახალგაზრდობის მოძრაობიდან, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვთ ამ დღესასწაულთან.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციები არსდებიან დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოებში; ბელგიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩეხიაში, შვეციაში და სხ., რომლებიც პირველ ხანებში ატარებდენ დამოუკიდებელ ხასიათს და თავიანთი მთელი სისასტიკით ბრძოლას უცხადებდენ მილიტარიზმს, არსებულ ეკონომიურ უთანასწორობას და ყოველგვარ ჩაგვრა-დამონებას.

მშრომელი ახალგაზრდობის ასეთი ორგანიზაციული შეკავშირება და დღითი-დღე განმტკიცება არ მოეწონათ მეორე ინტერნაციონალის მესვეურებს, ჩაერიენ მათ საქმეში.

შეიტანეს მათში პაციფისტური სული და ამ საშუალებით შესძლეს ამ ორგანიზაციების დაშლა-გადაბირება.

მშრომელ ახალგაზრდობას სწამდა, რომ მეორე ინტერნაციონალის 1907 წლის შტუდგარტისა და 1912 წლის ბაზელის კონგრესების ომის საწინააღმდეგო რეზოლიუციები ნამდვილად გატარდებოდა ცხოვრებაში. მაგრამ სინამდვილემ კი სულ სხვა დაანახა მათ.

1914 წელში მართლაც დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ამ გადამწყვეტ მომენტის დროს უღალატეს მუშათა კლასს, დაივიწყეს თავიანთი დადგენილებები და წამოისროლეს ლოზუნგი: „სამშობლოს დაცვა—პირველი მოვალეობაა მუშათა კლასისა“.

მოღალატე — სოციალისტების ამ მოქმედებამ და ომის აუწერელმა შედეგებმა კვლავ გამოაფხიზლა მშრომელი ახალგაზრდობა და მან 1915 წელს ქ. ბერნში მოიწვია მსოფლიო კონფერენცია, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მოეხდინად ყველა სახელმწიფოებში ანტი-მილიტარისტული და ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. დემონსტრაციების მუდმივ დღეთ არჩეულ იქნა სექტემბრის თვის პირველი კვირა.

ეს ის დრო იყო, როცა მშრომელი ახალგაზრდობის ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხ. კ. ლიბკნეხტი. 1916 წ. მშრ. ახალგაზრდობამ მეორე საერთაშორისო დღე მთელს მსოფლიოში ჩაატარა ამხ. კ. ლიბკნეხტის ლოზუნგის ქვეშ: „ძირს ომი“. რამოდენიმე წლის შემდეგ კი (1919 წ.) დაარსდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი.

დღევანდელი დემონსტრაციის დროს მშრომელი ახალგაზრდობა კიდევ განაცხადებს მძლავრ პროტესტს ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ და თუ საჭიროება მოითხოვს იბრძოლებს იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

ყოველ მხრივ განთავისუფლებული ს. ს. რ. კავშირის მშრომელი ახალგაზრდობა კი თავისი მხრით გააძლიერებს წითელ არმიას, საზღვაო და საჰაერო ფლოტს და მუდამ მზად იქნება მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი და იბრძოლოს მსოფ. რევოლიუციისათვის.

# ახალი რადიო-ამბები

## ბრძოლა მაროკოში.

### რაც არ უნდა დაჯდეს.

აბდ-ელ-ქერიმმა უბრძანა რიფებს განაგრძონ ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ რაც არ უნდა დაჯდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრება თითეულ ჯარის კაცს, რომელიც კი თავის ნებით დასტოვებს ბრძოლის ველს.

ჯარებისა და სამხედრო ტრანსპორტის გაძლიერებული გადაჯგუფება მოწმობს, რომ რიფების ფრონტზე სდგება ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი.

## ახალი კრიზისი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში.

ინგლისის ნახშირის მრეწველობაში თავი იჩინა ახალმა კრიზისმა.

სამთო მადნო მუშები სჩივიან, რომ ინგლისის მრეწველები არღვევენ 31 ივლისის დროებითი ხელშეკრულებას, რომლის ძალით ც არ უნდა შემცირებულიყო სამუშაო ხელფასი.

მრეწველებმა განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ განაკვეთის პროცენტულ დამატებას და არა ძირითად განაკვეთს.

ამის გამო, ზოგიერთ ადგილებში მრეწველებმა გააფრთხილეს ძირითად ხელფასის შემცირების შესახებ, რამაც გამოიწვია კონფლიქტი მუშებსა და მრეწველებს შორის.

მთამადნელ მუშების წარმომადგენლებმა ამის გამო მიმართეს ინგლისის პრემიერ ბალდუინს და მოითხოვენ, რათა მთამადნელ მუშების წარმომადგენელთა, სამთომადნო სამრეწველოს სამინისტროსა და მწარმოებელთა კონფერენცია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს შეთანხმების პირობები, რაც შეძლება მოხდეს ჩქარა.

მთამადნელ მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ სამთო მრეწველობის სამინისტრო, როგორც სჩანს მხარს უჭერს მრეწველებს. მას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია კონფერენციის დაუყონებლად მოწვევა.

## მეზღვაურებს უარი ეთქვათ დახმარების მიცემაზე.

ლივერპულის (ინგლისი) მუშათა ბირჟაზე დაახლოებით 1000 მეზღვაურს უარი ეთქვა დახმარების მიცემაზე, რომელიც მათ ეკუთვნოდათ, რადგან მეზღვაურებმა უარი განაცხადეს წარდგენილ სამუშაოზე, რომელიც ადმინისტრაციის აზრით სავსებით შესაფერისია მათთვის.

## გემების მეპატრონეები იმუქრებიან.

ავსტრალიიდან მიღებული ცნობებით, უცხოეთის გემების მეპატრონეების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მეზღვაურები არ დაუბრუნდებიან თავიანთ გემებს, მაშინ ისინი მიცემული იქნებიან სამართალში და გემების მეპატრონეები შეუწყვეტენ ფულის მიცემას მათ ოჯახებს.

ორშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს სექციების ყველა ბიუროების სხდომა. თვითეულ ბიუროს სხდომა შესდგება სათანადო სექციის თავმჯდომარის კაბინეთში.

**დღის წესრიგი:**

1) სექციების მომავალი მუშაობის გეგმების გამომუშავება.

2) მიმდინარე საკითხები.

ყველა სექციების ბიუროს წევრების და კანდიდატების, სექციის თავმჯდომარეების და ქვე/სექციების მუშაობის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

## კვლავ კრიზისი.

ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე ხნის წინად ინგლისის სამთომადნო მრეწველობაში ძლიერ გამწვავდა დამოკიდებულება მუშებსა და მწარმოებლებს შორის. უთანხმოების მიზეზი იყო მწარმოებლების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების შესახებ. კაპიტალისტებმა მოინდომეს იმ ზარალის განაღდება მუშების ხარჯზე, რომელსაც ისინი განიცდიან უგზო-ურობის გამო. მაგრამ მათ ბოროტ განზრახვას როგორც ერთი წინ აღუდგა ინგლისის მუშების მთლიანი ფრონტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ მუშათა საერთო გაფიცვა არ მოედო მთელ ინგლისს. ასეთმა გამწვავებულ მდგომარეობამ აიძულა ინგლისის მთავრობა ჩარეოდა ამ დავაში მაღაროს მუშებსა და მწარმოებლებს შორის და როგორმე მოეგვარებინა საქმე. მთავრობამ ვერ გაბედა აშკარად დადგომა კაპიტალისტების მხარეზე და მუშების წინააღმდეგ ზომების მიღება.

ვერ შესძლო მან ეს იმიტომ, რომ ინგლისის მუშათა კლასი მეტის მეტად ცუდ პირობებშია და რაც დღე მიდის მისი მატერიალური მდგომარეობა უფრო უარესდება. ამ ნიადაგზე იზრდება უკმაყოფილება მუშათა მასებში და ისინი უფრო მხნედ და ენერგიულად იწყებენ ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის.

ამიტომაც იყო რომ ინგლისის მთავრობამ ვერ გაბედა აშკარად გალაშქრება განრისხებულ და გაწამებელ ინგლისის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო და მუდამ შეუძლია საერთო გაფიცვა მოაწყოს მთელ ინგლისში და მით უდიდესი ზარალი მიაყენოს ინგლისის კაპიტალისტებს და მათ იმპერიალისტურ სახელმწიფოს.

მთავრობამ დაპირდა მრეწველებს, რომ ის 9 თვის განმავლობაში აანაზღაურებს მათ ზარალს, მრეწველებს კი თავისი მოთხოვნილებანი უკან უნდა წაეღოთ. ამრიგად უთანხმოება ამოწურული იქნა. მაგრამ იმ თავითვე ვსთქვით რომ, ეს დავა გადაჭრილია მხოლოდ 9 თვით და არა სამუდამოთ. 9 თვის შემდეგ ის მეტის სიმწვავით კვლავ წამოიჭრება ინგლისის ხელისუფლების წინაშე. არა თუ 9 თვისა, არამედ რამოდენიმე კვირეების შემდეგ ეს კრიზისი სამთომადნო მრეწველობაში კვლავ სინამდვილეთ ხდება. დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ მწარმოებლებმა დაარღვიეს უკანასკნელი შეთანხმება სამუშაო ხელფასის შესახებ. ამის გამო მაღაროს მუშების წარმომადგენლებმა მიმართეს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მან მოიწვიოს კონფერენცია მწარმოებლების, მთავრობის და მუშების წარმომადგენლებისაგან ყველა სადაო საკითხების გადასაჭრელად.

ჩვენ არ ვიცით როდის მოიწვევს, ან თუ მოიწვევს ბალდუინი ამ კონფერენციას.

ისიც ღრმად გვწამს, რომ ეს კონფერენცია არავითარ არსებით რამეს არ მისცემს ინგლისის სამთომადნო მრეწველობის მუშებს.

მხოლოდ შეურიგებელი გადამჭრელი ბრძოლა თავისი მყვლეფელების წინააღმდეგ მიიყვანს როგორც სამთომადნო მრეწველობის, ისე მთელი ინგლისის პროლეტარიატს საბოლოო გამარჯვებამდე.

—მ.

# საკავშირო სამეცნიერო აკადემიის იუბილე.

5 ამა თვეს ლენინგრადში დიდის ზეიმით დაიწყო საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ორი საუკუნეს სახელოვან არსებობის საიუბილეო დღესასწაული. იუბილიარს დიდი დამსახურება მიუძღვის მეცნიერების და კაცობრიობის წინაშე. მისი ორასი წლის არსებობა უდიდესი მეცნიერულ მიღწევებითაა აღნიშნული, აკადემიის წევრები და მათი შრომები საქვეყნოდ არიან ცნობილი და დამსახურებულია, მათი ნაშრომი საერთო მეცნიერების განძეულობას წარმოადგენს. მაგრამ შესაძლებელი იყო წინა რეჟიმის დროს სამეცნიერო აკადემიის მუშაობა ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ყოფილიყო? არა და არა. რადგან ვერც ერთი წეს-



გენერალური მდივანი
ს. ოლდენბურგი

წყობილება, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, ვერ მისცემს მას გასაქანს, საშუალებებს და საზოგადოებრივ ასპარეზს. და ამიტომაც იყო, რომ საუკეთესო რუსეთის მეცნიერები, რომლითაც ეხლა ამაყობს დასავლეთის უნივერსიტეტები, როგორიცა იყვნენ საქვეყნოდ ცნობილნი მეცნიერნი მეჩნიკოვი, მენდელეევი და ტიმერიაზევი იძულებულნი იყვნენ რუსეთში არსებულზე უკეთესი პირობები გამოენახათ და გადაკარგული იყვნენ ევროპის ქალაქებში. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ მდგომარეობა ძირიანად შესცვალა. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა და-



აკადემიკოსი ნ. მარი

ურღვეველი კავშირი გააბა მეცნიერებასთან. არც ერთ საზოგადოებრივ კლასს არ აქვს იმოდენა შემოქმედებითი ნიჭი, როგორც პროლეტარიატს. არც ერთ კლასს არ შეუძლია მისცეს გასაქანი მეცნიერებას, როგორც პროლეტარიატს, რადგან ის არის უაღრესად პროგრესიული, მხოლოდ ის აფასებს კაცობრიულს და მხოლოდ მას შეუძლია მეცნიერება მოიხმაროს საერთო საკაცობრიო მიზნებისათვის. მეცნიერების პროგრესის გარეშე წინმსვლელობა წარმოუდგენელია, მეცნიერების წინმს ლელობის გარეშე კი შეუძლებელია საზოგადოების აგება სოციალისტურ საფუძვლებზე, და ამიტომაც სამეცნიერო აკადემიის ნაყოფიერ მუშაობით, მისი წინმსვლელობით სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული საბჭოთა ხელისუფლება.

თუ წინეთ შიმშილობის და სამოქალაქო ომების დროს მეცნიერები ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდენ, ეხლა სამაგიეროდ საბჭოთა ხელისუფლება ქმნის შესაძლებელ საუკეთესო პირობებს მათ ნაყოფიერ მუშაობისათვის.

ქართველი მშრომელი ხალხი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ამ დღესასწაულს. საკავშირო სამეცნიერო აკადემიას არა მარტო ჩვენს, ქართველობის წინაშე, არამედ მთელ აღმოსავლეთ ხალხთა წინაშე მიუძღვის დაუფასებელი დამსახურება. მხოლოდ აკადემიის საშუალებით და მისი თაოსნობით დაიწყო ჩვენი წარსულის ისტორიულად მეცნიერული შესწავლა. სამეცნიერო აკადემიამ მისცა ის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელიც ეხლა ყავს ქართულ მეცნიერებას.

რევოლიუციის რვა წლის ნაყოფიერი მუშაობა, მეცნიერების და მათი წარმომადგენლების დაახლოვება მუშათა კლასთან და მისი ავანგარდთან, კომპარტიასთან თავდებია მისი, რომ საკავშირო სამეცნიერო აკადემია დიდ სამსახურს გაუწევს საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობას მისი საუკეთესო იდეალების განხორციელების საქმეში.

ნ. უ.

---

ცვალებადელნო, ისწრაფეთ წითელ ყაზარმისაკენ ცოდნის შესაძენათ.

---

# ბენიცკის მიუსაჯეს სამი წლის საპყრობილე და ჯარიმა

უნგრეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ბენიცკის, რომელიც მიცემული იქნა პასუხის გებაში სახელმწიფომეთაურის ხორტის შეურაცყოფისათვის, უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა სამი წლის ციხე და 15 მილიონი კრონი ჯარიმა.

---

# საჩუქარი გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს ფრეიბერგერს.

უკრაინის ხეზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, ამას წინად საბჭოთა კავშირში ჩამოსულ გერმანელ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ხეზე მომუშავე ფრეიბერგერს აჩუქა მხატვრულად შესრულებული დაფა გერმანულ და უკრაინულ ენებზე წარწერით: „დე, ეს დაფა იყოს თავდები გერმანელ და უკრაინელ ხეზე მომუშავე მუშების გაერთიანების.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა გაერთიანებულ რევოლიუციონურ ფრონტს“.

ამის საპასუხოთ ფრეიბერგერისაგან მიღებულია სამადლობელი წერილი, რომელშიდაც ის იტყობინება, რომ უკრაინელ მუშების ნაჩუქარი დაფა გამოკიდული იქნა ხეზე მომუშავეთა ბერლინის კავშირში, როგორც გერმანელ და უკრაინის მუშების გაერთიანების ნიშანი.

ფრეიბერგი უკრაინის ხეზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებით არჩეული იქნა კავშირის საპატიო წევრად.

---

# საქართველოს დელეგაცია.

ქართულ მეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს საკავშირო სამეცნიერო აკადემიასთან. ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა მთელი რიგი მეცნიერულ შრომებისა გამოცემულია აკადემიის მიერ.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც დაესწრო დღესასწაულებს, შედიან, სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეული, პროფესორები: კეკელიძე, რაზმაძე, ჩუბინაშვილი და წერეთელი.

---

# შვებულო, კავშირი არ გასწყვიტო ჯართან და შენ გაზეთთან.

მალე დაიწყება 1902 წ. დაბადებულთა მებრძოლების უვადო შვებულებაში გამგზავრება, ორი-სამი კვირის შემდეგ გაუშვებენ მეორე რიგისას, და შემდეგ მესამისას. ასე რომ დეკემბერში ყველა შვებულნი თავიანთ სახლებში იქნებიან. ამ რიგად წლეულს რამოდენიმე ასეული მომზადებული და ჯანსაღი ახალგაზრდა შვებული მიემატა სოფელს სამუშაოდ.

მათი გასაცილებლად სწარმოებს წინასწარი მუშაობა. ამზადებენ მათთვის ლიტერატურას, წრეებში და სემინარებში სწარმოებს გაცხოველებული მეცადინეობა: უხსნიან ყველა იმ საკითხებს, რომლებიც აწუხებენ სოფელს. უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ და ამ მიზნით გაათკეცებულ ენერგიით მეცადინეობენ, რომ მომზადებულნი დაუბრუნდენ სოფელს და არ გახდენ სოფლის „კულაკების“ სასაცილოდ. შვებულ წითელ არმიელმა კავშირი არ უნდა გასწყვიტოს თავის ნაწილთან.

ხშირად სოფელში ისეთ კითხვას მისცემენ შვებულს, რომ ამაზე მას პასუხის მიცემა გაუჭირდება. ასეთ შემთხვევებში მან უნდა მიმართოს ნაწილს ახსნა-განმარტებისათვის.

განსაკუთრებულად შვებულმა კავშირი არ უნდა გასწყვიტოს თავის გაზეთ „წითელ არმიელ“-თან, რომელიც უსათუოდ, როგორც აქ ნაწილში, ისე იქ სოფელში, დახმარებას გაუწევს ყოველგვარ საკითხის რიგიანად გადაჭრაში.

ასეთი კავშირი თავის გაზეთთან აუცილებლად საჭიროა შვებულისათვის. თუ შვებული კავშირს არ გასწყვეტს გაზეთთან, უჯრედთან, უფროსებთან და პოლიტხელებთან, იმ შემთხვევაში მას არ გაუჭირდება სოფელში ცხოვრება, რაც უნდა ცუდ პირობებში იყოს ის. ყოველთვის, მისთვის გაუგებარ საკითხის გადასაჭრელად შვებულმა უნდა მიმართოს არმიას, რომლისაგან ის მიიღებს ახსნა-განმარტებას და მიუთითებს, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ამა თუ იმ მდგომარეობიდან.

სოფელში ჩასვლისთანავე შვებული მოვალეა მოიწეროს წერილი, თუ რა კეთდება მის სოფელში: როგორ მუშაობს სოფლის საბჭო, როგორი ვაჭრობაა კოოპერატივში, როგორ მიმდინარეობს სასოფლო გადასახადის აკრეფა, რითი არიან უკმაყოფილონი გლეხები და რაზე სჩივიან, როგორ იჭრება ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების საკითხი, რა მდგომარეობაშია სკოლა, არის თუ არა ქოხ-სამკითხველო, და თუ არის როგორ მუშაობს, არის თუ არა კომუნისტური და ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედი, როგორ მუშაობს ის და როგორ უყურებენ მას გლეხები. უნდა ადევნოთ თვალყური, ხომ რაიმე ბოროტმოქმედება არ ხდება სოფლის დაწესებულებაში, „კულაკები“ ხომ არ მოხვედრიან საბჭოებში, კოოპერაციაში და სხ. მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ თუ არა გლეხის ქალები და რაში გამოიხატება მათი მუშაობა.

სოფელში ჩასვლის შემდეგ ყველა ეს ზემოჩამოთვლილი საკითხები უნდა გააშუქოს გაზეთ „წითელ არმიელი“-ს ფურცლებზე შვებულმა.

ი. ბარ.

---

მუშებო და გლეხებო, ჩვენი რესპუბლიკების მშვიდობიანობა მოითხოვს თქვენგან, რომ თოფის ხმარება იცოდეთ ისე, როგორც სახნისის და ჩაქუჩის.

---

# საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობა უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში.

ჩვენი მსხვერპლი.

ექვსი წლის წინეთ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 13 კავშირი და 220.000 წევრი, ეს იყო 1919 წლის ნოემბერში, ეხლა კი 60 კავშირი 1,750.000 წევრით შემოდის.

ახალგაზრდათა კომინტერნის მნიშვნელობა და მისი როლი რევოლიუციაში კარგათ ესმის ბურჟუაზიას და ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდათა კომინტერნის წინააღმდეგ ის დაუღალავ დევნას აწარმოებს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. 1919 წლიდან დაწყებული 22 კავშირი იყო ან არიან არალეგალურ ან ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში. გერმანიაში კავშირი 1923 წლის ოქტომბრიდან ვიდრე 1924 წლის მარტამდე იყო არალეგალურ მდგომარეობაში, ეხლა კი ნახევრად ლეგალურ პირობებში. ისპანიაში, პორტუგალიაში, ოსმალეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, იაპონიაში, კორეიაში ინდო-ჩინეთში, ირლანდიაში და ინდოეთში კავშირები სრულ არალეგალურ პირობებში არიან. იტალიის კომკავშირი არალეგალურია 1922 წლიდან. ამერიკაში კავშირს ლეგალიზაცია უყვეს მხოლოდ 1923 წელში. იამხრეთ-სლავიაში (სერბია) კავშირი სრულიად არალეგალურია, ბულგარეთში ასეთივე მდგომარეობაა 1923 წლის სექტემბრიდან. რუმინიაში ესტონეთში, ფინლიანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში კავშირები ან დაშლილია ან არალეგალურ მდგომარეობაშია.

ასობით დახვრეტილი არიან, ასობით და ათასი წლეებით კატორღა აქვთ მისჯილი. აი ფასი, რომელსაც იხდის ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი თავის არსებობისათვის.

**ახალგაზრდათა კომინტერნი და კომპარტიები.**

1918 წელში შვეციაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჩამოშორდა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი. ცოტა ხნის შემდეგ ამ კავშირის ჯგუფი აარსებს კომპარტიას. ხეგლუნდის (იქაურ კომპარტიის ერთად ერთი გამოჩენილი წევრი) წასვლის შემდეგ კავშირმა პარტიას მისცა 3.000 თავის წევრი.

ყველა ქვეყნებში ამ უკანასკნელ ხანებში კავშირების ტერიტორიალურ ჯგუფებიდან საფაბრიკო-საქარხნო უჯრედებზე გადასვლით, კომკავშირის მუშაობა ფართოვდება და მნიშვნელოვნად იზრდება.

საფრანგეთში კომკავშირი ერთი წლის განმავლობაში 9.800 წევრიდან 14.000 წევრამდე იზრდება.

საფრანგეთის კომკავშირი აწარმოებს ფართო ანტიმილიტარისტულ აგიტაციას და პროპაგანდას მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის ფართო მასებში.

ამ ჟამად კავშირის მთელი მუშაობა მიმართულია მაროკოს ომის წინააღმდეგ. გერმანიაში კავშირში ირიცხება 30 ათასი წევრი.

ამერიკის კავშირში 4.500 წევრია. ამერიკის კავშირი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ზანგების კავშირში ჩათრევისათვის.

ინგლისის კომკავშირის მუშაობა ამჟამად პროფ-მოძრაობის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გამოიხატება.

იტალიის კომკავშირი თანდათან ძლიერდება. კავშირში ამჟამად ითვლება 12 ათასი წევრი. კავშირის ყურადღების ცენტრი მუშურ ახალგაზრდობის შორის ეკონომიურ მუშაობაშია გადატანილი. კავშირი სცემს ყოველკვირეულ გაზეთს 20 ათას ცალს.

ჩეხო-სლოვაკიის კომკავშირი 10 ათას წევრს აერთიანებს. ეხლა მისი უახლოესი ამოცანაა —ლეგალიზაცია უყოს კავშირს. კავშირის შემადგენლობა სხვა და სხვაა, რომელშიაც შედის 6 ტომი, აფერხებს მუშაობას. ამჟამად კავშირი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ყველა ეროვნებისათვის ერთიან პლატფორმის შემუშავებას.

ჩინეთში კავშირი აერთიანებს 3 ათას წევრს და 220 უჯრედს. კავშირში 80 პროცამდე სტუდენტობაა, ამიტომ თავის რიგებში ჩათრევისათვის კავშირი დიდ მუშაობას აწარმოებს მუშურ ახალგაზრდობაში. ჩინეთის უკანასკნელ ამბებში კავშირი ერთერთი ხელმძღვანელის როლს თამაშობს, ის აქტიურ მონაწილეობას იღებს „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კომიტეტებში“.

კორეიის კომკავშირი არალეგალურ მდგომარეობაშია, მაგრამ ის დიდ მუშაობას აწარმოებს თავისი გავლენის გაფართოვებაზე მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში.

ოსმალეთის კომკავშირიც, მიუხედავათ დევნისა, აფართოვებს თავის გავლენას.

საერთოდ, ახალგაზრდათა კომუნისტური უნივერსიტეტი ამ ექვსი წლის განმავლობაში გაიზარდა და გამტკიცდა. თავის მუშაობაში ის აერთიანებს ყოველდღიურ ბრძოლას კომკავშირის წევრთა მაღალ პოლიტიკურ აქტივობასთან, და მათი ბოლშევიზაციით კომინტერნთან ერთად ჰქმნის ნამდვილ მასიურ ორგანიზაციებს.

ვ —მოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერ—ლეგიონის ფოლადისებური რიგები აიმულებენ იმპერიალისტებს ანგარიში გაუწიონ ჩვენს

# საბჭოთა რესპუბლიკებს.

## ჩვენი დღესასწაული.

დღეს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მთელი ქვეყნის რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ უნდა დაათვალიეროს თავისი რიგები. მან უნდა შეახედოს მტერს და მოუყვაროს რომ ის მზად არის ეკვეთოს მშრომელი ხალხის მტრებს. ეს მეთერთმეტე დღესასწაული განსაკუთრებულ პირობებში ტარდება დღეს.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტები ემზადებიან და მახვილს ლესავენ ახალი საშინელი ხოცვა-ჟლეტის დასაწყებათ. ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი სისხლის ღვრა აღმოსავლეთ ჩინეთში და მაროკოში იქ კიდევ სისხლის მორევშია დახრჩობილი ერები. ბურჟუაზია არ ერიდება არავითარ საშუალებას ოღონდ კი პროლეტარული რევოლიუცია სისხლში ჩაახჩოს.

ბა ასეთ დროს წითელ არმიას მართებს მეტი სიფხიზლე და თავდადებული მუშაობა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ წითელი არმია, წითელი ფლოტი და ავიაცია. მთელი მუშურ, გლეხური ახალგაზრდობა უნდა გაერთიანდეს ახ. ლენინელთა კომუნისტური კავშირის რიგებში. ამხანაგებო სოფლის და ქალაქის ახალგაზრდებო, მუშებო, გლეხებო და წითელ არმიელებო! 6 სექტემბერს ყველამ წითელი დროშებით ხელში დაუმტკიცოთ პროლეტარიატის მტერს რომ ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ მთელ ქვეყნის დაჩაგრულებს კაპიტალის უღლისაგან საბოლოვო განთავისუფლების საქმეში. ძირს ბურჟუაზიის ლაქიები! გაუმარჯოს წითელ არმიას! და გაუმარჯოს მშრომელი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ დღეს 6 სექტემბერს.

წითელარმიელი ნინუაკუთხელი.

## 5-ე ლეგიონის საქმიანობიდან.

ამ ახლო ხანებში ჩვენი ლეგიონი მიელის წერტებიდან ათასეულეს თავიანთი ცვალებადელებით.

ამის გამო ლეგიონში წინასწარ დაიწყო სამზადისი მათ შესახვედრათ. კლუბის გამგეობა ამშვენიერებს დარბაზს. ყაზარმები ეწყობ პლაკატებით და სხვა საჭირო სურათებ—ლოზუნგებით. სადგური მორთულია შესახვედრათ. ლენინის კუთხეები ეთიანად გამოიცვალა და გამშვენიერდენ.

ქალაქის ცირკში ცვალებადელებს სპეციალურად აჩვენებენ კინო სურათებს.

ფიზკულტურის წრეები გაფაციცებით ემზადებიან მათ შესახვედრად. ვარჯიშობა ყოველ დღე გაძლიერებული ტემპით სწარმოებს.

ლეგიონის სარედაქციო კოლეგია მათი ჩამოსვლის დღეს გამოუშვებს სპეციალურად კედლის გაზეთს.

წითელ-არმიელები დიდი სიხარულით მოელიან ამხანაგების მოსვლას და ერთგულად ასრულებენ ყოველგვარ დავალებებს.

სამხკორი ახ—ლი.

## მომღერალთა გუნდები გვეხმარებიან.

ჯერ კიდევ ბინის გამოცვლამდე ლეგიონში საკლუბო გამგეობის ინიციატივით დაარსებული იქნა კახურ-გურული მომღერალთა გუნდები. წითელ-არმიელები დიდი სიამოვნებით ჩაეწერენ შიგ და რამოდენიმე ხნის შემდეგ საკმაოდ მომზადებულიც აღმოჩნდენ.

ყოველ საღამოებისა თუ წარმოდგენების გამართვის დროს გუნდები დიდ დახმარებას გვიწევენ და დიდ შინაარს აძლევენ მათ.

ლეგიონის კლუბის გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს გუნდებს. გ—ბა.

# პარტიული ცხოვრება.

5-ეე ლეგ. 1-ლ ათასეულის უჯრედი.

27 აგვისტოს შესდგა ათასეულის უჯრედის გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც დაესწრო ათასეულის მთელი შემადგენლობა, განსახილველი იყო: 1. ათასეულის მდგომარეობა, 2. პარტდავალებების და 3. ანკეტების განხილვა.

ათასეულის მდგომარეობის შესახებ მოხსენებამ სავსებით გაგვაცნო ნაწილის ცხოვრების პირობები და დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოხსენების გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში კრებამ საჭიროთ სცნო დაუყონებლივ იქნეს მიღებული ზომები ყველა ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტდავალებებიდან გაეცნო კრებას საკომენდანტო ასეულის ლენინის კუთხეში წარმოებული მუშაობა, რომელიც ერთხმად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და დაევალა იქ მომუშავე ამხანაგს ასეთივე ინტენსიურად განაგრძოს მოქმედება.

ანკეტის განხილვა კი სხვა და სხვა ზიზეზების გამო გადადებულ იქნა შემდეგისათვის.

სამხკორი ახალციხელი.

## 2-ე არტლეგიონის კომუჯრედის მუშაობა.

ჩვენი ლეგიონის კომუჯრედი ენერგიულად მოქმედებს. ყოველ თვეში ეწყობა ერთხელ ლეგიონის ფარგლებში გაერთიანებული კრებები, ხოლო კომუჯრედის კი სამჯერ თვეში. ამას გარდა ხშირად ეწყობა ღია კრებები, რომლებსაც ყოველთვის მრავლად ესწრებიან უპარტიო ამხანაგები.

უპარტიოთა შორის ძლიერია პარტიაში შესვლის სურვილი. პასუხისმგებელი კომუნისტი ამხანაგები სიამოვნებით ხვდებიან ასეთ სურვილებს და შესაძლებლობის ფარგლებში აძლევენ საშვალებას პარტიაში შესვლისას.

სამწუხაროთ საგაუპიცო ბატარეის კომუჯრედს არა აქვს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ამ მხრივ სასურველია ხელმძღვანელი ამხანაგები გადადგამდენ საჭირო ნაბიჯებს და ამ ნაკლსაც ბოლოს მოუღებდენ.

პარტკორი ქვემეხი.

## ახკომკავშირელთა შორის

მე 4 ლეგ. მე 7 და 3-მე ტუვია მფრქვევ ასეულებში.

ორი თვე იქნება მას შემდეგ რაც ჩვენ ასეულებში ჩამოყალიბდა პარტ-დამხმარე ჯგუფი. თუმცა იგი წინათაც არსებობდა, მაგრამ წევრთა სიმცირის გამო არსად სჩანდა.

ამ ჟამთ კი ახ. ლ. კ. კ. ჯგუფი აერთიანებს 40 კომკავშირელს, რომელმაც თავიდანვე დიდი ნაბიჯები გადასდგა პარტ-აღმზრდელობით დარგში.

თვეში ორჯერ ხდება კრება, სადაც კეთდებოდა სხვა და სხვა თემებზე მოხსენებები და ირჩეოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებიდან წამოჭრილი საკითხები. ამავე დროს—უმთავრესად მიმდინარე კითხვებში შუქდებოდა პარტ-დისციპლინის საკითხები, რამაც ჩვენი ზოგი ამხანაგები გამოსწორების გზაზე დააყენა.

31 აგვისტოს მოხდა უკანასკნელი კრება საერთო ტერშეკრებამდე, სადაც გაირჩა შემდეგი საკითხები:

1. წითელ-არმიის და ფლოტის უჯრედების ჩამოყალიბების წესები, 2. დავალებების ანგარიშები.

პირველი საკითხი ამხ. ჯგუფის ორგანიზატორმა საკმარისად გააშუქა. ის ვრცლად შეეხო ყველა იმ მუშაობას და ამოცანებს, რომელიც საჭიროა იცოდეს ყოველმა ახ. კომკავშირელებმა.

ყველა ამხანაგებზე წინასწარ იყო დავალებული უჯრედის მიერ სხვა და სხვა საგანმანათლებლო დავალებები. ანგარიშების ჩაბარების დროს აღმოჩნდა რომ 80 პროც. შეესრულებიათ პირნათლად და დანარჩენებში კი გამოირკვა ერთგვარი წაქეზება მომავალ დავალების შესრულებისათვის, რომელიც იმედი გვაქვს სასურველი შედეგებით დამთავრდება.

სამხკორი ლვდელაძე.

# განაკიდან დაბრუნების წინ

## საწევრო წიგნაკები არ მიგვიღია

1-ლ. ლეგ. 5-თე ასეული.

ხუთ თვეზე მეტი იქნება რაც ჩვენი ასეულის არმიელები ერთ სულოვნად ჩავეწერეთ საჰაერო ფლოტის საზოგადოებაში.

დაგვპირდენ საწევრო წიგნაკების მოცემას. სამწუხაროთ ეს უკანასკნელები დღესაც არ მიგვიღია.

რამოდენიმეჯერ მოვითხოვეთ, მაგრამ მაინც არა ეშველა რა. ამ ხანებში ზოგიერთ წითელ არმიელს უვადო შვებულებაშიც უწევს წასვლა და მეტად სწყინთ, რომ თან არა აქვთ წიგნაკები.

დროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ვისაც ეს ეხება და დააკმაყოფილონ არმიელების სურვილი.

წ. არმ. ალ. ლომია.

## მოგვეცით მაგიდა.

1-ლ ლეგ. ბატარეია.

ერთი კვირა იქნება რაც ლეგიონი მოიხსნა ბანაკიდან. ლეგიონის ბატარეია ძლიერ კარგ ბინაზე მოთავსდა მაგრამ ძლიერ გვაწუხებს უმაგიდობა.

სადილობის დროს წითელ არმიელებს უხდებათ ხან ძირს და ვინ იცის ხან სად სადილის ჭამა. მართალია გვაქვს ერთი პატარა მაგიდა, მაგრამ მასზე ვერ ეტევიან ყველა არმიელები.

პატაკითაც კი მივმართეთ ამის შესახებ სადაც ჯერ არს, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

ლეგ. კომენდანტო! მოგვაქციე ყურადღება და მოგვაწოდე როგორმე ერთი მაგიდა.

სამხკორი უტი.

## მოგვაშორეთ ღორები.

ცხენ. ლეგ. კომენდანტის საყურადღებოთ.

ჩვენს სასადილოში ყოველ დღე დიდი შეტაკება გვიხდება ძალით შამოჭრილ ღორებთან, მაგრამ ვერას გზით ვერ შევსძელით გამარჯვება და ღორები ვერ მოგვაცილა თავიდან კომენდანტმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი იერიშები ამ უკანასკნელ ხანებში, ისე აიშვეს თავი, რომ ხშირად შამოგვივარდებიან სასადილო მაგიდაზე და გვტაცებენ თუ პურს და თუ ჯამებშიც ასწრებენ დინგის ჩაყოფას და მიაქვთ ხორციც.

ამხ. კომენდანტო, როგორმე დაგვიხსენი ამ აუტანელ მდგომარეობიდან.

სამხკორი ჩახაია.

## კოოპერატივს არმოაქვს პური.

ცხენოსანი ლეგიონი.

ეს რამოდენიმე ხანია, რაც ჩვენი ლეგიონის კოოპერატივში აღარ მოაქვთ პური, რომელიც ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ჩვენში. რაშია საქმე, რატომ არ გვაწვდის კოოპერატივის გამგე პურს?

ორი ვერსის მანძილზე სიარული პურისთვის ბევრ სასარგებლო საქმეებზე გვაცდენს და ამას გარდა ჩვენთვის იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ ერთი თუ ორი კაპიკით მეტი არ მივსცეთ კერძო მოვაჭრეს.

მოგვაწოდეთ პური, მიიღეთ ზომები ამის გარშემო.

სამხკორი ჩ—ია.

## განათლების ფრონტზე.

— გამასწორებელ სახლებთან არსებულ ბიბლიოთეკასამკითხველოთა საჭირო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად, განათლების კომისარიატმა დაავალა პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიიღოს სათანადო ზომები.

— დახმარება ქართულ ახალშენს. განათლების კომისარიატმა დაავალა სოც. აღზრდის და პოლიტ. განათლების მთავარ მმართველობებს გაუგზავნონ უფასოთ ქართულ სახელმძღვანელოები „ნოვო-ივანოვსკის" ქართული ახალშენის (ჩრდ. კავკასია) სკოლას.

— კისლოვოდსკის 1-ლი საფეხურის ქართული სკოლისათვის განათ. კომისარიატმა გადასწყვიტა გაგზავნოს უფასოთ სახელმძღვანელო წიგნები.

— განათლების კომისარიატმა დაადგინა დაუნიშნოს სტიპენდია ერთის წლით ყაზახების მიერ მოკლულ რევოლიუციონერის შიო ჩიტაძის შვილს, რომელიც ამჟამად სწავლობს გრენობლის უნივერსიტეტში.

## საცვლებს თავის დროზე არ გვირეცხენ.

პირველი ლეგიონის შტაბი.

ლეგიონის შტაბში ვიმყოფებით რამოდენიმე წითელ-არმიელები. სამწუხაროთ არავინ გვაქცევს ყურადღებას ისე, როგორც საჭიროა. თავის დროზე ვერ დავდივართ აბანოში, რადგან საცვლების გადმოცემას ხშირად ორი კვირით აგვიანებენ; ვერ გვირეცხენ თავის დროზე. ამის გამო ხშირად უაბანოოთაც ვრჩებით. ხშირად არის ასეთი შემთხვევაც, რომ საკუთარი საცვლების მაგივრად გვაძლევენ სხვა ასეულების არმიელების საცვლებს. ჩვენს დანომრილ საცვლებს ყურადღებას არ აქცევენ.

საჭიროა ლეგიონის სამრეცხაოს უფროსი ქალი ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და მოგვაწვდიდეს საცვლებს თავს დროზე.

სამხკორი პსოზ.

## დაცინვას ადგილი არ უნდა ექნეს.

პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენს ასეულში არის ერთი წითელ არმიელი ჯორჯაძე, რომელსაც არ ვიცი რატომ საშინლად დასცინიან სხვა ამხანაგები და უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ ყოველთვის. მას არ შეუძლია სამაგიეროს გადახდა და თავის გულში საშინლად იტანჯება. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდენ ამას უფროსები და ბოლოს მოუღებდენ ამ ყოვლად დაუშვებელ საქციელს.

ჩვენი არმიელები უნდა იზრდებოდენ ურთიერთ პატივისცემაში და არა ასეთ დამოკიდებულებაში.

იმედია სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან ამ მოვლენას ვისაც ეს ეხება.

წ. არმ. ნინუაკუთხელი.

## ნათესების მდგომარეობა საქართველოში.

სამაზრო საექსპორტო კომისიების მასალების მიხედვით, მოსავლიანობა შემდეგ სურათს იძლევა: საშუალო მოსავალი ერთ დესეტინაზე ბორჩალოს მაზრაში—შემოდგომის ხორბლის 40,5 ფუთი, გაზაფხულის ხორბლის—25 ფუთი; გორის მაზრაში შემოდგომის ხორბალი—61,6 ფუთი, გაზაფხულის ხორბალი—44 ფუთი, სიღნაღის მაზრაში შემოდგომის ხორბალი—38,5 ფუთი, გაზაფხულის ხორბალი—26 ფუთი, თელავის მაზრაში შემოდგომის ხორბალი—37,5 ფუთი, გაზაფხულის ხორბალი—17,5 ფუთი. სამხრეთ-ოსეთში შემოდგომის ხორბალი—41 ფუთი, გაზაფხულის ხორბალი—24 ფუთი.

ამრიგათ პურის მოსავლიანობა ერთ დესეტინაზე წინა წლებთან შედარებით შესამჩნევ ზრდას გვიჩვენებს და ეტყობა ომის წინა დროსთან დაახლოვების ტენდენცია. ზოგიერთ მაზრებში წლევანდელმა მოსავალმა გადააჭარბა კიდეც ომის წინა ხანების მოსავალს; მაგალითად, გორის მაზრაში წელს მოვიდა—61,6 ფუთი, ომის წინა ხანებში კი მოსავალი შედრიდა 51 ფუთს.

სიმინდის ნათესების მდგომარეობა 1-ლ სექტემბრისათვის შემდეგ სურათს იძლევა: ახალციხის მაზრა—3,0 ბორჩალოს—3,5, გორის—2,5 სიღნაღის—3,8, თბილისის—3,0, თელავის—2,5, სამხრეთ-ოსეთი—1,0.

15 აგვისტოსთან შედარებით აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობა უცვლელია ბორჩალოს, თბილისის მაზრაში და სამხრეთ-ოსეთში. მდგომარეობა გაუარესდა ახალციხის მაზრაში—0,5 ნიშნით, გორის—0,5, სიღნაღის—0,7, თელავის—0,2 ნიშნით. მდგომარეობის გაუარესების მთავარი მიზეზი გვალვას და სარწყავი არხების უქონლობას უნდა მიეწეროს.

დასავლეთ საქართველოში: ზუგდიდის მაზრა—3,0 ლეჩხუმის—3,1, ოზურგეთის—2,5, რაჭის—2,2, სენაკის—3,2 და ქუთაისის—3,0. გაუმჯობესება ეტყობა ზუგდიდის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებს, გაუარესება კი ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრებს.

## რადიო-კუთხე

### 187.000 რადიო მსმენელი.

1924 წ. 1 დეკემბრიდან 1925 1-ლ აგვისტომდე საზოგადოება „რადიო გადაცემას“ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაუდგამს სულ 1030 ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო აპარატი, რომლებითაც ამ ხნის განმავლობაში უსარგებლია 187.000 კაცს.

ხმა მაღლა მოლაპარაკის ამ რიცხვიდან სოფელზე მოდის 209, რომელთაც შეუძლიათ სამსახური გაუწიონ 36.000 მსმენელს. მოსკოვში დადგმულია სულ 251 ხმა მაღლა მოლაპარაკე რუპორები, რომლებითაც სარგებლობს დაახლოებით 38,000 კაცი. სხვა რუპორები კი მოდის პროვინციალურ ქალაქებზე—570 დაახლოებით 113,000 რადიო მსმენელზე.

**საბჭოთა კონცერტების გადაცემა ინგლისში.**

ინგლისის საყოველთაო სარგებლობის რადიო საზოგადოებამ წინადადება მისცა ჩვენში არსებულ „რადიო გადაცემის“ საზოგადოების თავმჯდომარეს, რათა მოაწყოს მოსკოვში გამართულ კონცერტების გადაცემა ინგლისში, ბერლინის რადიო სადგურის დახმარებით.

**უძლიერესი რადიო სადგური ოსმალეთში.**

ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, თავისი ქვეყნის ახალ სატახტო ქალაქ ანგორაში აგოს რადიო სადგური, რომელიც თავისი სიძლიერით აღემატებოდეს მსოფლიოში აქამდე არსებულ ყველა რადიო სადგურების სიძლიერეს ცალ ცალკე.

სათანადო გეგმის შესადგენათ მთავრობამ დანიშნა კონკურსი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ ამერიკის, ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის ყველა გამოჩენილი და ცნობილი ფირმები. ამ უზარმაზარი წამოწყების სისრულეში მოსაყვანათ, ოსმალეთის მთავრობამ გადასდო 2.500.000 ოსმალური ლირა.

**ჩვენ რადიო მოყვარულებს ჩქარა შეეძლებათ მოისმინონ უცხოეთიდან რადიო კონცერტები.**

მოსკოვში არსებულ „რადიო გადაცემის“ საზოგადოება მოსკოვს გარედ აწყობს სპეციალურ რადიო სადგურს, ევროპის სახელმწიფოების რადიო სადგურებიდან გადმოცემულ რადიო კონცერტების მისაღებათ; შემდეგ კი ეს კონცერტები საკავშირო ძლიერი სადგურების საშვალებით გადაიცემა ყოველი მხრივ.

ამნაირად ჩვენს რადიო მოყვარულებს საშვალება ექნებათ თავისი პატარა დეტექტორიანი სადგურების საშვალებით მოისმინონ საზღვარ-გარეთიდან გადმოცემული კონცერტები.

## ახალი ამბები.

— **საბიუჯეტო კომისია.** თფილ. ალმასკომმა გამოყო საბიუჯეტო კომისია 8 კაცის შემადგენლობით და ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

— **სრულიად უკრაინის ექიმთა ყრილობაზე,** მიიღო მოწვევა საქ. ჯანსახკომმა, თავის წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ.

— **მებამბეობისათვის აგრო-დახმარების** გასაწევათ საქ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატს მიეცა 15 ათასი მანეთი.

— **მომავალი წლისათვის** განზრახულია ბამბის ნათესების ფართე მიყვანილ იქნეს 12.500 დესეტინამდე.

— **კბილის ექიმთა ყრილობა.** 15 სექტემბერს ტფილისში გაიხსნება ამ.-კავკასიის კბილის ექიმთა პირველი ყრილობა.

— **დახმარება შრომით დაზარალებულებს.** აგვისტოს თვის განმავლობაში ტფილისის დამზღვევ კასას დაურიგებია დახმარების სახით შრომით დასახიჩრებულთათვის 10.367 მანეთი.

— **ჯანსახკომის და მისი ცენტრალური ორგანოების** შესანახათ მომავალი წლის განმავლობაში განზრახულია გაიღოს სახელმწ. ბიუჯეტიდან 1.400.000 მანეთი.

— **აგროპუნქტების მუშაობა.** მიმდინარე წლის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში გაუნაწილებიათ გლეხებზე 807 დღით გუთნები და ასი დღით თესლის სარჩევი მანქანები.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### როგორ ჩნდებიან და ქრებიან ცის მნათობები.

ხშირად შეხვდები დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურს გაიგოს, თუ ღმერთი არ ყოფილა, მაშ როგორ გაჩდენ ამოდენი ცის მნათობები: მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სხვა პლანეტები ჩვენს დედამიწასთან ერთად. ბოლოს როგორ გაჩნდა ძლიერი სიცხე, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, რომელმაც სითხეთ აქცია ყველა მაგარი სხეულები.

თანამედროვე მეცნიერებამ არ იცის, როგორ წარმოიშვა პირველყოფილი მატერია; არც ის არის ცნობილი თუ როგორ მდგომარეობაში იყო ის თავისი განვითარების პირველ ხანებში—ცხელი იყო თუ ცივი.

ამჟამად, უახლოესმა ასტრონომიულმა მეცნიერებამ, რომელსაც დიდი როლი ეკუთვნის ვარსკვლავთა სამყაროს დაწვრილებითი შესწავლის საქმეში, თითქმის აღმოაჩინა—მიაკვლია ვარსკლავთა განვითარების ისტორიას.

ასტრონომიული მეცნიერების აზრით, მატერიამ—ცის სხეულებმა თავისი დასაწყისი მიიღეს კოსმიური მტვერის დრუბლებისაგან.

ერთი მხრივ სითბოს დაკარგვის გამო, რომელსაც ეს მტვერი უშვებდა მსოფლიო სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ კი მსოფლიო მიმზიდველობის ძალის მეოხებით, ეს კოსმიური მტვერი ან ძლიერ გათხელებული აირი ნელ ნელა იკუმშებოდა, ხოლო თვით ეს შეკუმშვის პროცესი კი იწვევდა ტემპერატურის—სიცხის გადიდებას.

(ეს აზრი, რომ მართალია იქიდანაც შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ავტომობილის შინების გაბერვის დროს სადაც ხდება ჰაერის შეკუმშვა „ნასოსის“ თავი ხურდება).

ამნაირად ერთ და იმავე დროს ხდება ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე პროცესი: სითბოს დაკარგვა სხივების გამოშვების გამო და ტემპერატურის გადიდება აირნაირ მასის შეკუმშვის გამო.

სანამ საკმაო სიძლიერით სწარმოებს მატერიის შეკუმშვა, გამოწვეული სიცხე აღემატება სხივმფინაობით დაკარგულ სითბოს რაოდენობას და ამნაირად მასის ტემპერატურა იწევს ზევით.

მასის თანდათანობითი შეკუმშვის დროს მასა აღწევს საზღვარს და მისი შემდეგი შეკუმშვა უფრო ნელა მიმდინარეობს, ამის გამო კი მეორდება შეკუმშვით გამოწვეული ტემპერატურა. ხოლო სხივფინაობით დაკარგული სითბოს რაოდენობა ამ დროს არა თუ კლებულობს—მატულობც კიდეც. ამიტომ ზემოთ აღნიშნული ორი პროცესის დროს ხდება წონასწორობა ერთ დროს, რის შემდეგ მასაში სითბოს მატებას სჭარბობს სითბოს დაკარგვა.

ასეთი სქემის მიხედვით ცის მნათობთა განვითარება წარმოგვიდგება შემდეგი სახით. უფრო „ახალგაზრდა“ ვარსკვლავები ხასიათდებიან დაბალი ტემპერატურით და თავისი დიდი მოცულობით ვიდრე უფრო დიდი ხნის ვარსკვლავები. ასეთ ვარსკვლავებს აქვთ ცოტა მოწითალო ფერი.

იმ ვარსკვლავებს, რომლებიც თავისი შეკუმშვით უფრო დიდი ტემპერატურით ხასიათდება, აქვთ უფრო მოყვითალო—თეთრი ფერი.

მას შემდეგ რაც ვარსკვლავი შეკუმშვის საშუალებით მიაღწევს თავისი მაღალი ტემპერატურის მაქსიმუმს და შემდეგ აღნიშნულ ორ პროცეს შორის სდგება წონასწორობა, იწყება ვარსკვლავის თანდათანი გაციება.

ეხლა კი ვარსკვლავი თეთრი მოყვითალო ფერიდან გადადის მოწითალო ფერზე. ეს ვარსკვლავები შედარებით უფრო პატარეები არიან ვიდრე „ახალგაზრდა“ ვარსკვლავები.

ასეთ ვარსკვლავთა რიცხვს—ეკუთვნის სხვათა შორის ჩვენი მზეც. როდესაც ვარსკვლავი სრულიად გაცივდება მასზე იწყება ორგანიული სიცოცხლე, როგორც მაგალითად ჩვენი მიწაა.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე მყავს 7 წლის ძმა, რომელიც ანთების შემდეგ დაყრუვდა და დამუნჯდა. მინდა ჩამოვიყვანო თბილისში საექიმოდ. გთხოვთ მიპასუხოთ მომეცემა თუ არა საექიმო დახმარება რომ თელავის მაზრიდან ჩამოვიყვანო თბილისში.

**წ. არმ. ა. თადიაშვილი.**

**პასუხი.** თანახმად ს. ს. რ. კ. რევსამხსაბჭოს ბრძანებისა №1520 დახმარება ეძლევათ წითელ-არმიელის ოჯახის წევრებს. თქვენ შემოიარეთ ორშაბათს რედაქციაში.

**კითხვა.** გამოწვეული ვარ წითელ ჯარში 1924 წ. შემოდგომაზე. არ მისარგებლია შვებულებით. მეკუთვნის თუ არა შვებულება და მომეცემა თუ არა სამგზავრო ლიტერი?

**წ. არმ. გაჩუნია.**

**პასუხი.** თანახმად ბრძანების № 821 ერთი წლის შემდეგ წითელ არმიელს ეკუთვნის შვებულება და ეძლევა ლიტერი.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წ. შემოდგომაზე, ვიქნები თუ არა ამ წლის 1925 წ. შემოდგომაზე უვადო შვებულებაში დათხოვნილი და თუ არა შემიძლია თუ არა ადმინისტრატიულ კურსებზე სიარული?

**წ. არმ. მსურველი.**

**პასუხი.** 1925 წ. შემოდგომაზე განთავისუფლებული არ იქნებით. კურსებზე სიარული შეგიძლიათ უფროსის ნებართვით და თუ ეს საქმეს არ ავნებს.

**კითხვა.** 1925 წ. შემოდგომაზე ვარ გამოწვეული. დამთავრებული მაქვს მუშფაკი და მეორე საფეხურის სკოლა. 1925 წ. შემოდგომაზე გაგვანთავისუფლებენ თუ არა?

**წ. მ. ვ. სიხარულიძე.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1274 განთავისუფლებენ, თუ ჩააბარებთ გამოცდებს ოცეულის თავის თანამდებობაზე.

**კითხვა.** ლეგიონის ბიბგამგეს და მის თანაშემწეს ეძლევათ თუ არა ტანსაცმელი უფ.-დაპოლიტ. შემადგენლობასთან ერთად?

**ჩევაძე.**

**პასუხი.** თუ შტატში არიან ეძლევათ.

## პასუხად სამხკორ „ალგიჯოს“.

გაზეთ წით. არმ. 187-ში მოთავსებული იყო ამხ. ალგიჯოს წერილი სათაურით: „არ ტარდება სანიტ-საათი“. ამხანაგი სწერს, ვითომც ორი თვეა არ ტარდება სანიტ საათი 5-თე ლეგიონის პირველი ათასეულში და თან დასძენს: სულ ორი თვის განმავლობაში ჩატარებულია 2-რი სანიტ-საათი. უნდა აღვნიშნო სამხკორის საყურადღებოთ, რომ ივნისის და ივლისის თვეში ხსენებულ ნაწილში ჩატარებული იქნა 27 სანიტ-საათი ჯგუფებში და აგვისტოს თვეში კი 18-დი, რაც სრულებით აბათილებს გაუგებრობაში ჩავარდნილ სამხკორის წერილს.

მართალია იყო შემთხვევა, რომ ცვალებადობებთან სამეცადინოთ მიმაგრებულმა ექიმმა გამოტოვა სანიტ-საათი 3-ჯერ, მაგრამ ეს იყო სროლების მიზეზი ერთის მხრივ და მეორეც ავათმყოფობა და არავითარ შემთხვევაში დაუდევრობა.

**გ. ს.—ძე.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ფხიზელს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „3-მე ათასეულის უფროსი უნდა გამოსწორდეს,“ გადაეცა დივიზიის პარტკომისიას.

**ამხ. ხარაზაშვილს** (6-სე ლეგ.) თქვენი წერილი მიქაუტაძის საპასუხოთ ძლიერ გაურკვევლად არის დაწერილი. დასწერეთ ერთ გვერდზე და გარკვევით.

**ამხ. სალარაძეს**—ლექსი „დელეგაცია“ არ გამოდგა.

**ამხ. ყულისკარელს** (5-თე ლეგ.)—წერილი „საჭირო გამოსწორება“ არ გამოდგა.

**ამხ. შალამბერიძეს** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი „ჩვენი მოვალეობა სოფლად“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ლ. გიორგაძეს** თქვენი წერილი არ გავა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. მოთვალთვალეს** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „სასეირნო ბაღია თუ გარყვნილების ბუდე“ მოათავსეთ ადგილობრივ გაზ. „წითელ ვარსკვლავში“.

**ამხ. ვ. ჩაგელიშვილს** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი „უვადო შვებულებაში მიმავალთა მოვალეობა“ არ გამოდგა.

**დაიკარგა** პირადი წიგნაკი №196 წითელ-არმიელ ივერიკო ახვლედიანის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.